შეხვედრის ოქმი
11აპრილი, ბათუმი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ღია მმართველობა საქართველო
საჯარო კონსულტაციები 2014

ქალაქ ბათუმში ღია მმართველობა საქართველოს საჯარო კონსულტაცია USAID–ის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრსა და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. უნივერსიტეტში შეხვედრას სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები დაესწრნენ.

შეხვედრის ფარგლებში სსიპ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ ირაკლი ლომიძემ და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა სულხან სალაძემ შეკრებილ საზოგადოებას გააცნეს მთავრობის ის ინიციატივები, რომელთა მიზანია მთავრობის ღიაობის, გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა წინაშე ანგარიშვალდებულების გაზრდა და რომლებიც დაგეგმილია, რომ ვალდებულებების სახით ჩაიდოს ღია მმართველობა საქართველოს 2014–2015 წლის სამოქმედო გეგმაში.

შეხვედრის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს შემდეგ საკითხებზე:

- შეხვედრის მონაწილეები წუხილს გამოთქვამენ სხვადასხვა პროცესში საზოგადოების დაბალი ჩართულობის გამო. ისინი თვლიან, რომ ამ პრობლემის მოგვარების ერთ–ერთი საშუალება სიახლეების და მიმდინარე რეფორმების შესახებ ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებით გავრცელებაა. შეხვედრის მონაწილეები ფიქრობენ, რომ სოციალურ ქსელებს უნდა დაეთმოს განსაკუთრებული ყურადღება, ვინაიდან იმ რეგიონებში, სადაც მოსახლეობას აქვს წვდომა ინტერნეტთან, სწორედ ეს არის ინფორმაციის მარტივად გავრცელების მეთოდი. შეხვედრის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ინტერნეტი არ არის ხელმისაწვდომი ქვეყნის ყველა ქალაქსა და სოფელში, შესაბამისად, აუცილებელია განსაკუთრებული როლი დაეკისროს ადგილობრივ თვითმმართველობებს და სწორედ მათი მეშვეობით გავრცელდეს მოსახლეობაში მათთვის საჭირო ყველა ინფორმაცია: მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობების სხდომების განრიგი, დღის წესრიგი და სხვა.

- შეხვედრის მონაწილეთა მხრიდან დადებითად შეფასდა საზოგადოებრივი ცენტრები და მათი დანიშნულება. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია მათი რიცხვი გაიზარდოს და დაფაროს საქართველოს ყველა რეგიონი.

- სტუდენტების გარკვეულმა რაოდენობამ გამოთქვა სურვილი შემუშავდეს სპეციალური საინფორმაციო ტიპის კურსები, რომელთა ფარგლებში, სკოლის პერიოდიდანვე ამაღლდება მოსწავლეთა ცნობიერება მთავრობის მუშაობის პრინციპების, საგარეო ურთიერთობების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ,

რათა საზოგადოება ადრეული ასაკიდანვე დაინტერესდეს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებით და შესაბამისად, წახალისებულ იქნეს მათი ჩართულობა.

- შეხვედრის მონაწილეები დადებითად აფასებენ საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ შექმნილ ვებგვერდს (www.hr.gv.ge), რომელიც მათ საშუალებას აძლევს გაეცნონ საჯარო სამსახურში არსებულ კონკურსებს. თუმცა დამსწრეთა სურვილია საკონკურსო კომისიაში ყოველთვის შედიოდეს ერთი ან რამდენიმე დამოუკიდებელი პირი, რაც მათი მოსაზრებით, კიდევ უფრო გამჭვირვალეს გახდის საჯარო სამსახურში მიმდინარე კონკურსებს.

- სტუდენტებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მათი სურვილია მრავლად იმართებოდეს ღია მმართველობა საქართველოს საჯარო კონსულტაციების მსგავსი შეხვედრები, რათა მათ შესაძლებლობა მიეცეთ პროცესებში უშუალოდ ჩართული პირებისგან მიიღონ ინფორმაცია ქვეყნის სტრატეგიების, სამომავლო გეგმების შესახებ და ამავდროულად, მიაწოდონ მათ საკუთარი მოსაზრებები და რეკომენდაციები.